ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 24 ოქტომბერი, 2022 №209 (8987) ფასი: 80 თეთრი

## ნელი დოროყაშვილი: „ამ შედეგს ველოდი. საქმეს აუცილებლად წავიღებ სტრასბურამდე“

გვ.5



# „თუ უკრაინის სანქციებს დასავლეთი აჰყვება, ივანიშვილს პრობლემები შეექმნება“



თორნიკე შარაშენიძე: „რაში სჭირდება რუსეთს ივანიშვილის ძმა, ირანული დრონებისთვის?! ამის დასამტკიცებლად დოკუმენტი უნდა დადონ“

გვ.2



## „ქალაქი გადადგომით მორალურად მოიგებდა, მაგრამ პოლიტიკურად წააგებდა“

## ლევან მურუსიძე: „ერთი პერიოდი ვფიქრობდი, ხომ არ წავიდე საერთოდ სასამართლო სისტემიდან-მეთქი“

გვ.5





გვ.3

## დიმიტრი გვრიტიშვილი: „ე.წ. კლანურობის თემა არანაირი მტკიცებულებით და ფაქტებით არ დასტურდება“



გვ.3

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებად ლევან მურუსიძე და დიმიტრი გვრიტიშვილი აირჩიეს

## რა ბიზნესსაქმიანობას ეწევა ივანიშვილის დეიდაშვილი, რომელიც უკრაინამ სანქცირებულთა სიაში შეიყვანა

გვ.3





გვ.4

## ბენ ჰოჯესი: „უკრაინის გამარჯვება და რუსეთის მარცხი გარდაუვალია“



## პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამუშაო შეხვედრაზე ახალი თავდაცვის კოდექსის პროექტი განიხილა

გვ.2





გვ.6

## ბაიდენი ილონ მასკის წინააღმდეგ

1993230720223

5 პროსტიტუციის ხელშეწყობა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა — დაკავებულია 6 პირი

4 უძრავი ქონება, რომლებიც ადრე მედიუმკლასის ბინებად იყიდებოდა, ახლა პრემიუმკლასის ბინებად იყიდება

7 ვინ არიან მილიონერი მწვრთნელები

6 შეიქმნა ერთობლივი რუსულ-ბელარუსული სამხედრო დაჯგუფება

# „თუ უკრაინის სანქციებს დასავლეთი აჰყვება, ივანიშვილს პრობლემები შეექმნება“

## თორნიკე შარაშენიძე: „რაში სჭირდება რუსეთს ივანიშვილის ძმა, ირანული დრონებისთვის?! ამის დასამტკიცებლად დოკუმენტი უნდა დადონ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, არესტოვიჩის განცხადებამ მხოლოდ ხელისუფლება კი არა, ოპოზიციის დიდი ნაწილიც გააღიზიანა. რას ემსახურება მსგავსი განცხადებები, რამდენად სერიოზულია ეს ყველაფერი?***

– ჩვენი პრობლემა ის არის, რომ ამ ერთი კაცის განცხადებების გამო ერთ ამბავს ვტეხთ. უნდა დავაიგნოროთ ჩვეულებრივად. წარმატებები უკრაინელ ხალხს, მაგრამ ამ კაცს ზედმეტები მოსდის. მგონი, მან თავის წარმოდგენაში უკვე დაამარცხა რუსეთი, მოსკოვი აიღო და ახლა ფიქრობს, როგორ აქციოს უკრაინა ახალ უფროს ძმად. სხვათა შორის, მასვე აქვს ნათქვამი, რომ ძალიან მოსწონს საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირში უფროსი ძმა იყო რუსეთი და, მგონი, ახლა ის ფიქრობს, რომ უკრაინა უნდა იქცეს უფროს ძმად. მოდით, დავანებოთ თავი, გავმიჯნოთ ეს კაცი უკრაინელი ხალხისგან. ასე უკეთესი იქნება.

***– უკრაინის ხელისუფლებას მიჯნავთ არესტოვიჩის განცხადებებისგან? ის ხომ ხელისუფლებას წარმოადგენს ამ შემთხვევაში, პრეზიდენტის მრჩეველია.***

– ასე გადაჭრითაც ვერ ვიტყვით. ჩვენთანაც არიან ვიღაც-ვიღაცები, გიჟურ განცხადებებს რომ აკეთებენ, მაგრამ ეს ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციას არ გამოხატავს. ახლოს არიან ხელისუფლებასთან, მაგრამ ოფიციალურად ხელისუფლებას არ წარმოადგენენ. ჩვენც ასე უნდა შევხედოთ, რომ ოფიციალურად ის არ წარმოადგენს ხელისუფლებას.

***– რატომ აძლევენ „ოცნების“ ხელისუფლებას საბაბს, რომ კიდევ უფრო მეტად გააკრიტიკონ უკრაინა?***

– არესტოვიჩმა თავი უკვე წარმოიდგინა ზეცაში, თავისი წარმოდგენით მოსკოვი უკვე აიღო და გეგმებს აწყობს. ამ გეგმებში კი მისთვის უკრაინა არის ახალი უფროსი ძმა. როგორც ჩანს, ეს ადამიანი საკუთარი თავის ტკბობაშია ჩავარდნილი, უყვარს, ყურადღებას რომ იქცევს სენსაციური განცხადებებით. ილაპარაკოს, ჩვენ ამაზე ნუ გვექნება მძაფრი რეაქცია. დიახ, საქართველოს ხელისუფლება ამას კიდევ ერთხელ გამოიყენებს სათავისოდ და გაიშვერს ხელს მათკენ, აი, ხომ უყურებთ, როგორ გვექცევიანო.

***– ივანიშვილის უახლოეს გარემოცვას სანქციები დაუწესეს. საუბარია ივანიშვილისა და მისი ოჯახის სანქცირებაზე. ამ ყველაფერზე რას იტყვით?***

– ჩვენთან უკვე მოჰყვა ამას გამოხმაურებები. მე, მაგალითად ვისურვებდი, რომ კონკრეტული მიზეზი, რაიმე დოკუმენტი მენახა, რის საფუძველზე დაედო სანქციები ამ ხალხს. მე მაინტერესებს, მართლა რა ხდება, მართლა თუ არის შემჩნეული ვინმე საქართველოდან რუსეთისთვის დახმარებასა და სანქციებისთვის თავის არიდებაში. საბუთი მჭირდება, რაღაც რომ დავიჯერო. მაშინ დადონ საბუთები. რაც აქამდე თქვეს, არაფერი არ დადასტურდა. უკრაინის ხელისუფლებას თუ გეგმაში აქვს, რომ პრობლემები შეუქმნას ივანიშვილს, მარტო თვითონ რომ ვერ შეუქმნის, გასაგებია. ივანიშვილს პრობლემები მაშინ შეექმნება, თუ ამ სანქციებს დასავლეთი აჰყვება.



**„კალაძე გადადგომით მორალურად მოიგებდა, მაგრამ პოლიტიკურად წააგებდა“**

***– არ აჰყვება დასავლეთი?***

– დასავლეთი რომ აჰყვეს, რაღაც საბუთია საჭირო, დოკუმენტი, რომელიც არ არის.

***– არ არსებობს ბუნებაში ასეთი დოკუმენტი, მტკიცებულება?***

– არ ვიცი. თუ არსებობს, მიგვანიშნონ მაინც. შეიძლება, გამომზეურება არ უნდათ, მაგრამ რაღაც მინიშნება ხომ უნდა გაკეთდეს, რის საფუძველზე დაედოთ. ცხადია, უკრაინის მიზანი დასავლეთის აყოლიებაა, მაგრამ, რომ აიყოლიო, რაღაც კონკრეტული მიზეზი ხომ უნდა იყოს?! გვითხრან, რა არის ეს მიზეზი, რას დაეყრდნო უკრაინის ხელისუფლება. მე რასაც გადავხედე, ძირითადად იყო ჩვენი მედიის მხრიდან სპეკულირება, რომ აი, ირანული დრონები მიეწოდებოდა რუსეთს. ვერ წარმომიდგენია, ირანული დრონების მიწოდებაში იყოს გახვეული ივანიშვილის ძმა. ზღაპარს ჰგავს. რაში სჭირდება რუსეთს ივანიშვილის ძმა, ირანული დრონებისთვის?! სერიოზული მინიშნებაა საჭირო. რაშია საქმე, მიგვანიშნონ. დოკუმენტებს თუ არ დებენ, თემა მაინც მიგვანიშნონ.

***– ბატონო თორნიკე, საკმაოდ მძიმეა ახლა უკრაინაში ვითარება. აქტიურ შეტევაზე გადავიდა რუსეთი, ყველა ქალაქს ბომბავენ. მოვლენების როგორ განვითარებას ელით?***

– ზამთარია გადამწყვეტი ამ ომში. რუსეთი ახლა ბოლომდე გამოიყენებს იმ უპირატესობას, რომელსაც ჰქვია მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ომი. ომი უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს და ამით უკრაინა ზარალდება. ამ უპირატესობას ალბათ ბოლომდე გამოიყენებს რუსეთი.

***– დასავლეთის გააქტიურებას თუ ელოდებით?***

– მათ, ერთადერთი, შეუძლიათ, უკრაინას იარაღი მიაწოდონ, მაგრამ ერთია იარაღის მიწოდება და მეორეა ზამთარში უკრაინის გათბობა. ამ ზამთარს თვითონ ევროპას ექნება ენერგორესურსების, დენის, გაზის დეფიციტი და უკრაინას როგორ მიეშველებიან?! რუსეთის გათვლა სწორედ ამაზეა ალბათ.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ზამთარი იქნება გადამწყვეტი?***

– კი, ამაში დარწმუნებული ვარ.

***– ბატონო თორნიკე, შიდაპოლიტიკურ პროცესებს რაც შეეხება, როგორც ექსპერტთა ნაწილი, ისე ოპოზიცია აცხადებს, რომ პრორუსი ხელისუფლება გვყავს. რა პოლიტიკა აქვს არჩეული ჩვენს ხელისუფლებას და საით მიდიან?***

– არსაითაც არ მიდიან. სადაც იყვნენ ეს ბოლო წლები, ისევ იქ არიან. რა შეიცვალა მათ პოლიტიკაში?! ეს იყო დასავლეთთან ინტეგრაციის გაგრძელებისა და, ამავდროულად, რუსეთთან სიფრთხილის პოლიტიკა.

***– 12-პუნქტიანი გეგმის ვადაც იწურება. რას ელით?***

– მე მგონია, რომ ფორმალურად შეასრულებენ ამას. ქაღალდზე დაწერენ. არ არის ეს პრობლემა მათთვის, დაწერით ქაღალდზე ყველაფერს დაწერენ.

***– მერედა, ამით რამდენად მოატყუებენ ევროპას?***

– მოტყუება რას ჰქვია? ქაღალდზე ეწერება, მერე უკვე იმის აღსრულება სხვა საქმეა. აი, აღსრულებაში კი შეიძლება ყოველთვის გაიშვირონ ხელი ოპოზიციისკენ. ამ შემთხვევაში ხელისუფლებას აქვს მანევრირებისა და მანიპულირების კარგი საშუალება. ჩვენი საზოგადოების ძირითადი უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ უკრაინამ და მოლდოვამ მიიღეს სტატუსი, თუმცა, ეს ომი თუ გაგრძელდება და ახლო მომავალში უკრაინა თუ კიდევ უფრო დაზარალდება, მშვენივრად გაიშვერს ხელისუფლება იქითკენ ხელს, იტყვის, უკრაინამ თუ მიიღო სტატუსი, რაში არგია, ქვეყანა დაანგრია რუსეთმაო. ესეც ამათ წისქვილზე ასხამს წყალს.

**„წარმატებები უკრაინელ ხალხს, მაგრამ არესტოვიჩს ზედმეტები მოსდის. მგონი, მან თავის წარმოდგენაში უკვე დაამარცხა რუსეთი, მოსკოვი აიღო და ახლა ფიქრობს, როგორ აქციოს უკრაინა ახალ უფროს ძმად“**

***– ოპოზიცია ახსენეთ და რა ვითარებაშია დღეს ოპოზიცია? მათი კრიტიკა სულ უფრო ხშირად გვესმის. ცხელ შემოდგომას გვპირდებოდნენ. სადაა ცხელი შემოდგომა?***

– ვინმემ დაიჯერა, რომ ოპოზიციას ჰქონდა ცხელი შემოდგომის თავი?! ვინმეს ამის სჯეროდა?! ვინმეს ჰქონდა სერიოზული მოლოდინი, რომ რამის თავი ჰქონდა ოპოზიციას?!

***– ვნახეთ, კალაძის გადადგომას ითხოვდნენ და 10 კაცი მივიდა მერიასთან. რატომ, რა ხდება?***

– მოდით, ერთ ჭეშმარიტებას გავუსწოროთ თვალი – ხელისუფლება რომ შეიცვალოს, მით უმეტეს ასეთ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება გემრიელად იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს არჩევნებში, ოპოზიცია ხელისუფლებას ორი თავით უნდა სჯობდეს. რეალურად კი ერთი თავითაც არ სჯობია. შევთანხმდეთ ამაზე. თუ ვინმე რაღაცის გამკეთებელი იყო, ვგულისხმობ ნაცმოძრაობას, ის ახლა სერიოზულ კრიზისშია. დანარჩენ პარტიებს კი რეიტინგი ჩამოუვარდათ 2%-ს ქვემოთ და ამით ყველაფერია ნათქვამი. ამას ემატება ერთიანობის არქონა, ერთმანეთს ჭამენ ძირითადად, ვიდრე ხელისუფლებას ებრძვიან. ხალხი დაღალეს მაღალი მოლოდინების შექმნით, ოღონდ თქვენ გამოდით ქუჩაში და ჩვენ ხელისუფლებას დავამხობთო. ხალხიც დაიღალა! რამდენჯერ გამოვიდეს ხალხი მათ დაძახებულზე?! ახლა აღარ არის ის დრო, რომ ხალხი გამოვიდეს, შეაშინო ხელისუფლება და სახლში გაიქცეს! რაღაც ახალია მოსაფიქრებელი. როცა ამდენ არჩევნებს წააგებ და იმავე ფირფიტას ატრიალებ, ე.ი. ძალიან სერიოზული პრობლემა გაქვს. როცა მიდგომას არ ცვლი და აგებ და აგებ არჩევნებს, შენში უნდა ეძებო პრობლემა!

***– ახალი სისხლი სჭირდება ოპოზიციასო და 2024 წლამდე არის ამ სისხლის გადასხმის, ახალი ძალის გამოჩენის შანსი?***

– არის შანსი, იმიტომ, რომ მოთხოვნაა. ბაზრის კანონია – სადაც მოთხოვნაა, იქ ჩნდება მიწოდებაც. რაღაც აუცილებლად გამოჩნდება. ასე ქვეყანა წინ ვერ მიდის.

***– რადგან მერია და კალაძე ვახსენეთ, თქვენი აზრით, უნდა გადამდგარიყო თუ არა კალაძე?***

– მე მგონი, კალაძე გადადგომით მორალურად ბევრს მოიგებდა მოქალაქეების თვალში. მეორე მხრივ, ქართული პოლიტიკა ისეთია, თუ გახვედი სცენიდან, მერე დაბრუნება ჭირს. როგორც ჩანს, კალაძემ პრაგმატულად იფიქრა, ჩათვალა, რომ ველარ დაბრუნდებოდა ასე მარტივად სცენაზე.

***– როგორც გახარიას არ აპატია ივანიშვილმა და მტრად შერაცხა, ისე მოხდებოდა კალაძის შემთხვევაშიც?***

– ასე მარტივად გასვლა ბრძოლის ველიდან, თანაც შენი ნებით, არ მოსწონს იმ კაცს. კალაძემ ჩათვალა, რომ ეს ნაბიჯი დაასამარებდა მის პოლიტიკურ კარიერას და ამიტომაც დარჩა. რომ წასულიყო, საზოგადოების თვალში ბევრს მოიგებდა, პოლიტიკურად კი ბევრს წააგებდა. ცალკე პოლიტიკური თამაშის წამოწყება კი, ხომ ვიცით, საქართველოში როგორი რთულია.

# პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამუშაო შეხვედრაზე ახალი თავდაცვის კოდექსის პროექტი განიხილა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრთან ჯუანშერ ბურჭულაძესთან და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელ პირებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ახალი თავდაცვის კოდექსის პროექტი განიხილეს, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით მომზადდა.

ახალ თავდაცვის კოდექსის პროექტში, სხვა პრიორიტეტებთან ერთად, გათვალისწინებულია წვევამდელთა და რეზერვის სისტემების მოდერნიზაცია და ჯარისკაცების სოციალური პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესება.

წვევამდელებისა და რეზერვის სისტემების მოდერნიზაციის შემდეგ დამკვიდრდება თავდაცვის უწყების მართვის ახალი მიდგომა. შეიქმნება წვევამდელთა სრულიად ახალი, მოქნილი სისტემა.



ახალი თავდაცვის კოდექსის პროექტი საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წლის ბოლომდე წარედგინება.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ჯარისკაცებისთვის ღირსეული პირობების შექმნა და მათი სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა მთავრობის პრიორიტეტია. აღინიშნა, რომ ახალი კოდექსი ჯარისკაცების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფისა და სოციალური გარანტიების კანონით დარეგულირებას გულისხმობს.

მთავრობის მეთაურის თქმით, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი მნიშვნელოვნად იზრდება, რაც შესაძლებელი გახადა 2022 წელს მიღწეულმა ორნიშნა ეკონომიკურმა ზრდამ. აღინიშნა, რომ ,,ჯარის ქალაქის“ მშენებლობა რამდენიმე თვეში დასრულდება, 1000-ზე მეტ ჯარისკაცს საცხოვრებელი ბინები გადაეცემა და ეს პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება.

შეხვედრას თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე, თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მათიაშვილი და თავდაცვის ძალების უფროსის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ჯონი ტატუნაშვილი ესწრებოდნენ.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნინო ბურჯანაძე: „უკრაინის სანქციები ივანიშვილისთვის კარგის მომასწავებელი არ არის“

— პირველი მერცხალი, რომელიც კარგის მომასწავებელი ბიძინა ივანიშვილისთვის ნამდვილად არ არის, — ამის შესახებ „ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა.

ნინო ბურჯანაძის თქმით, ფაქტი ერთია, რომ ვერც ბიძინა ივანიშვილი და ვერც ხელისუფლება „ამ სანქციების შემდეგ კარგ ხასიათზე ვერ იქნება“.

— ამ ეტაპზე სანქციები მხოლოდ უკრაინის მიერ არის დაწესებული, მხოლოდ უკრაინაში მოქმედებს, მაგრამ ვიცით, რომ უკრაინაში არის სპეციალური უწყება, რომელშიც აქტიურად არის ჩართული მაიკლ მაკფოლი — აშშ-ის ყოფილი ელჩი რუსეთში, ასევე ბევრი სხვა ძალიან ავტორიტეტული ადამიანი და ეს ადამიანები მსოფლიო პოლიტიკურ ელიტაში გარკვეულ განწყობებს ქმნიან, ანუ ეს არის პირველი მერცხალი, რომელიც კარგის მომასწავებელი ბიძინა ივანიშვილისთვის ნამდვილად არ არის, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

კითხვაზე, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ბიძინა ივანიშვილის გარემოცვის სანქცირებამ ქვეყნის რეპუტაციაზე, ნინო ბურჯანაძე პასუხობს, რომ აღნიშნული სურათს რადიკალურად არ შეცვლის, რადგან საერთაშორისო არენაზე ქვეყნის რეპუტაცია „შელახულია“.

— ქვეყნის რეპუტაციას არაფერი აღარ უშველის. სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ქვეყნის რეპუტაცია უკვე იმდენად შელახულია და იმდენად დაბლაა დაწეული შეხედულებები, რაც ჩვენი ქვეყნის მიმართ იყო, რომ ამას ერთით მეტი მიზეზი იქნება თუ ნაკლები, რადიკალურად სურათს არ ცვლის, იმდენად მძიმე და ცუდია საერთაშორისო არენაზე ჩვენი რეპუტაცია, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ასევე, ნინო ბურჯანაძის თქმით, სანქცირებული ბიძინა ივანიშვილი შეიძლება უფრო მეტი საფრთხე იყოს ქვეყნის ორიენტაციისთვის.

— ოპონენტის, მოწინააღმდეგის კუთხეში მიყენება ყოველთვის საფრთხის მატარებელია, როდესაც მეორე მხარეს გარკვეული ძალა აქვს. ასე რომ, სანქცირებული ბიძინა ივანიშვილი შეიძლება უფრო მეტი საფრთხე იყოს ქვეყნის ორიენტაციისთვის, განვითარებისთვის და ა.შ. მეორე მხრივ, ეს არის შანსიც იმისა, რომ ქვეყანაში რეალური ცვლილებები მოხდეს, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ბურჯანაძის თქმით, ოპოზიციაში ურჩევნიათ, „ევროპის დედაქალაქებში იარონ პარლამენტის სახელით, რომელსაც თავის დროზე რუსი ოლიგარქის „ბუტკას“ ეძახდნენ“, ამიტომ ასეთ ვითარებაში „ცხელი შემოდგომა“ ვერ იქნება.

— ნიკა მელიას განცხადებას გულყრები მოჰყვა ოპოზიციური პარტიების მხრიდან — „რა



არჩევნები, რა დროს ვადამდელი არჩევნებია“. აბა, ორი წელი ხალხს ვატყუებდით, როცა ვადამდელ არჩევნებზე ვლაპარაკობდით? ასეთი განწყობები რომ არის ოპოზიციაში, რომ თან უნდათ ვადამდელი, თან არ უნდათ, თან უნდათ ბრძოლა, თან არ უნდათ, თან უნდათ პარლამენტიდან გამოსვლა, თან ურჩევნიათ, ევროპის დედაქალაქებში იარონ პარლამენტის სახელით, რომელსაც თავის დროზე რუსი ოლიგარქის „ბუტკას“ ეძახდნენ, როცა ასეთი ვითარებაა, ვერანაირი ცხელი შემოდგომა ვერ იქნება. ამას ცხელი გაზაფხული და ზაფხული სჭირდება წინ და არა დაძინებული ოპოზიცია, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნინო ბურჯანაძე გადაცემაში უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩევლის, ოლექსი არესტოვიჩის განცხადებასაც გამოეხმაურა იმის შესახებ, რომ უკრაინას საქართველოს გადარჩენა მოუწევს.

ნინო ბურჯანაძის თქმით, სირცხვილია ის, რომ მეგობარი ქვეყანა აღგვიქვამს ისე, რომ გადასარჩენები ვართ და ეს ჩვენი ბრალია.

— მე არა მგონია, არესტოვიჩს ეგულისხმა ის, რომ უკრაინის ჯარი შემოვა საქართველოში და უკრაინული მმართველობა დამყარდება. არა მგონია, რამე ასეთს ამბობდეს და ფიქრობდეს. ეს მაინც ემოციური გაცხადება მგონია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ სიბრტყეში უნდა გადავიტანოთ.

მეორე მომენტია აქ — არ გვინდა, ჩვენს თავს ვკითხოთ, რომ რაც არ უნდა კარგი მეგობარი იყოს, სხვისი გადასარჩენი რატომ უნდა იყო? რატომ უნდა ტოვებდე ასეთ შთაბეჭდილებას, რომ ვიღაცამ უნდა გადაგარჩინოს? არ უნდა დაუტოვო არც მეგობარს და არც მტერს იმის განცდა, რომ ვიღაცის მისახედი და საპატრონო ხარ, ვიღაც უნდა მოვიდეს და გადაგარჩინოს. არ გვრცხვენია ამის? ეს ჩვენი ბრალია, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

## იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებად ლევან მურუსიძე და დიმიტრი გვრიტიშვილი აირჩიეს

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გამართულ მოსამართლეთა 31-ე კონფერენციაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი მოსამართლე წევრი — ლევან მურუსიძე და დიმიტრი გვრიტიშვილი აირჩიეს.

დიმიტრი გვრიტიშვილის კანდიდატურა მოსამართლეებმა დაასახელეს, ხოლო ლევან მურუსიძემ, თავად დააყენა საკუთარი კანდიდატურა.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ორი წევრის ადგილი მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც გოჩა აბუსერიძემ და გიორგი გოგინაშვილმა თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვეს.

შეგახსენებთ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები თანამდებობაზე 4 წლის ვადით ინიშნებიან.

## დიმიტრი გვრიტიშვილი: „ე.წ. კლანურობის თემა არანაირი მტკიცებულებითა და ფაქტებით არ დასტურდება“

— ჩემი კოლეგების მხარდაჭერა მოწმობს ჩემს კვალიფიკაციასა და კეთილსინდისიერებაზე, რომ განვახორციელო ამ მაღალი სტატუსის ფუნქციები. ის ბრალდებები, რომლებიც ისმის ჩემი და ჩემი კოლეგების მიმართ, არის აბსოლუტურად დაუსაბუთებელი, — ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეულმა მოსამართლე წევრმა დიმიტრი გვრიტიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

როგორც გვრიტიშვილმა აღნიშნა, არც ის და არც მისი კოლეგები სასამართლო რეფორმების მოწინააღმდეგე არ არიან და, პირიქით, მათ ესმით, რომ „რეფორმა უნდა იყოს განგრძობადი ხასიათის“.

— მადლობა კოლეგებს, რომ ხელახლა ნდობა გამომიცხადეს და მომცეს შესაძლებლობა და ამასთანავე უდიდესი პასუხისმგებლობა, რათა ვიყო საბჭოს წევრი და დავიცვა სასამართლო ხელისუფლების ინტერესები, როგორც ამას მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში ვაკეთებდი.

მოგეხსენებათ, რომ ყველა სამუშაო ჯგუფში, რომელიც შეეხება სასამართლო სისტემის მიმართ გასატარებელ რეფორმებს, იქნება ეს საკანონმდებლო თუ სხვა სახის, ყველა სამუშაო ჯგუფის წევრი ვიყავი. ახლა უკვე საბჭოს მოქმედი წევრის მანდატით აქტიურად ჩავერთვები ამ სამუშაო ჯგუფის მუშაობაში და ჩემს გამოცდილებას და ცოდნას მოვახმარ იმას, რომ ჩვენი სასამართლო იყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბებული და იფუნქციონიროს ისე, რომ ხელი შეუწყოს დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს განმტკიცებას.

ალბათ ჩემი კოლეგების მხარდაჭერა მოწმობს ჩემ კვალიფიკაციასა და კეთილსინდისიერებას იმისთვის, რომ განვახორციელო ამ მაღალი სტატუსის ფუნქციები. რაც შეეხება ლევან მურუსიძეს, ის არის ჩემზე მეტი გამოცდილების და კვალიფიკაციის მოსამართლე.

ის ბრალდებები, რომლებიც ისმის როგორც მისი, ისე ჩემი და ჩემი კოლეგების მიმართ, არის აბსოლუტურად დაუსაბუთებელი. ეს ე.წ. კლანურობის თემა არანაირი მტკიცებულებითა და ფაქტებით არ დასტურდება, უბრალოდ, გარკვეულ ძალებს, იქნებიან ეს პოლიტიკოსები თუ არასამთავრობო სექტორი, აწყობთ სასამართლოს თემით მანიპულირება, რათა საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგი განახორციელონ. იმისთვის, რომ მოსამართლის მიმართ მსგავსი ბრალდებები გააჟღერო, აუცილებელია მყარი მტკიცებულებები და კონკრეტული ფაქტების მითითება, რასაც უკვე წლებია ამ ცილისმწამებლური კამპანიის ფარგლებში ჩვენ ვერ ვხედავთ. ამიტომაც, ამით არის განპირობებული ჩვენი კოლეგების ასეთი ერთსულოვანი მხარდაჭერა ლევან მურუსიძის და ჩემი კანდიდატურის მიმართაც, — განაცხადა გვრიტიშვილმა.

მისივე თქმით, ის მზად არის საერთაშორისო პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებთან თანამშრომლობისთვის.

— მნიშვნელოვანია კომუნიკაცია ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან თუ სხვა სუბიექტებთან, რომელიც დაინტერესებულია სასამართლო ხელისუფლებით. ყველა სამუშაო ჯგუფში ჩართული ვარ როგორც წევრი, ასევე ჩემი საკა-



ნონმდებლო ინიციატივები წარმიდგენია და გაზიარებულიც ყოფილა ჩემი წინადადებები და კანონად ქცეულა.

ყოველთვის მეც და ჩემი კოლეგებიც, რომ არანაირი რეფორმის მოწინააღმდეგე არ ვართ, პირიქით, გვესმის, რომ რეფორმა უნდა იყოს განგრძობადი ხასიათის, რადგან საზოგადოების მოთხოვნები საკმაოდ დინამიურია და სასამართლო ხელისუფლებამ მას ფეხი აუწყოს. ყველა შემთხვევაში ჩვენ მზად ვართ რეფორმისთვის, მაგრამ არა ე.წ. კუდიანებზე ნადირობისა და თითიდან გამოწოვილ ბრალდებებზე პასუხზე დროის დახარჯვისთვის. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დრო და ჩვენი რესურსი უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ სასამართლო ხელისუფლება იყოს სათანადო დონეზე და მართლმსაჯულება საქართველოში იყოს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, — განაცხადა დიმიტრი გვრიტიშვილმა.

## ვის ეკუთვნის კომპანია, რომელმაც ვაკის პარკის შადრევანსა და „ვარკეთილის“ მეტროს ჩამონგრეულ სადგურს ექსპერტიზა ჩაუტარა

ვაკის პარკის შადრევანსა და 2018 წლის იანვარში „ვარკეთილის“ ჩამონგრეულ მეტროს სადგურს ექსპერტიზა ერთმა კომპანიამ, შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიურომ“ ჩაუტარა.

შპს-ს წილის 100%-ს ერთი ადამიანი, ზურაბ ამირანაშვილი ფლობს.

ირკვევა, რომ გრინსერვის+ის“ კონტრაქტორი შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიურო“ შავ სიაში 2022 წლის აპრილიდან არის შეყვანილი.

გარდა აქვე კონტრაქტორობისა, კომპანიას მოგებული აქვს სახელმწიფო ტენდერებიც. ტენდერების მონიტორის ცნობით, „სამშენებლო ექსპერტიზის ბიურომ“ 970.800 ლარის 5 ტენდერში გაიმარჯვა. მოგებული კონტრაქტების საერთო ღირებულება 438.354 ლარს შეადგენს. პირდაპირი შესყიდვის წესით კი 3337 ლარის ხელშეკრულება დადო.

შეგახსენებთ, 12 ოქტომბერს თბილისის მერიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ დასრულდა ვაკის პარკში არსებული მცირე კასკადისა და მრგვალი შადრევნის რეაბილიტაცია.

13 ოქტომბერს კი ვაკის პარკის შადრევანში ბავშვებს ბურთი ჩაუვარდათ, ბურთის ამოღებისას კი დენმა დაარტყათ. დენის დარტყმის შედეგად 13 წლის გოგონა დაიღუპა. 2 მოზარდი საავადმყოფოდან რამდენიმედღიანი რეაბილიტაციის შემდეგ გაწერეს.

რაც შეეხება მეტროსადგურს, ვარკეთილის მეტროს განახლებული ჭერი გარემონტებიდან რამდენიმე თვეში ჩამოვარდა. შემთხვევის შედეგად მძიმე დაზიანება არცერთ მოქალაქეს არ მიუღია, დაშავდა მხოლოდ 3 ადამიანი და ისინიც მხოლოდ მსუბუქად. მეტროსადგურში სამშენებლო სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა შპს „ყვარელრემმშენმა“ ჩაატარა.

## რა ბიზნესსაქმიანობას ეწევა ივანიშვილის დეიდაშვილი, რომელიც უკრაინამ სანქცირებულთა სიაში შეიყვანა

ბიძინა ივანიშვილის გარემოცვის ოთხი წევრი, უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის ბრძანებით, სანქცირებულია. ვოლოდიმირ ზელენსკის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი გუშინ, 19 ოქტომბერს, გამოქვეყნდა.



სანქციები შეეხება ბიძინა ივანიშვილის ძმას ალექსანდრე ივანიშვილსა და მის მეუღლეს ქეთევან ხარაიძეს, ასევე მილიარდერის დეიდაშვილს უჩა მამაცაშვილსა და მის შვილს ტიტე მამაცაშვილს.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ ინფორმაციას ივანიშვილის დეიდაშვილის უჩა მამაცაშვილის ბიზნესსაქმიანობის შესახებ.

უჩა მამაცაშვილი, რომელიც „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრი იყო, წლების მანძილზე, რუსეთში ივანიშვილის კუთვნილ „სტოილენსკაია ნივას“ ხელმძღვანელობდა. ასევე ეკავა თანაინვესტირების ფონდისა და „საქართველოს რკინიგზაში“ დირექტორის მოადგილის პოზიციები.

2017 წლიდან უჩა მამაცაშვილმა ქართულ საინვესტიციო ბაზარზე დააფუძნა სააქციო საზოგადოება Middle Seas Capital-ი. კომპანია მაღალტექნოლოგიური და ნოვატორული პროექტების განხორციელებას ანიჭებს უპირატესობას და ინვესტიციების ჩადებით ხელს უწყობს ბიზნესის სხვადასხვა სექტორის განვითარებას.

როგორც ფონდის ვებგვერდიდან ირკვევა, მათ მიერ შესრულებული პროექტებია:

შპს Geo Organics-ი — მისი საქმიანობა ფარმაცევტული და კოსმეტიკური საშუალებების წარმოებაა; რეესტრის მონაცემებით, კომპანიის 90%-იანი წილი ოფშორში რეგისტრირებული „გეოორგანიკს ლიმითედ“-ის, 10%-ი კი სს „მიდლ სის კაპიტალ“-ის საკუთრებაშია.

შპს Georgian Retail Investments-ი — საქართველოში იტალიური ყავის ბრენდი „illy Caffй“-ს ოფიციალური წარმომადგენელია; საწარმოს 80% სს „მიდლ სის კაპიტალ“-ის, 10% კახაბერ რუსიძის, 5-5%-იანი წილი კი გურამ ცანავასა და დავით საკანდელიძეს ეკუთვნით;

შპს „გ-აგრო“ საწარმოს 100% წილის მფლობელი მამაცაშვილია. კომპანიას სამეგრელოს რეგიონში რამდენიმე ჰექტარზე აქვს გაშენებული სხვადასხვა ჯიშის მოცვის ნერგები;

შპს „მელიქიშვილი ინნ“ ახორციელებს ახალი სასტუმროს პროექტს. კონცეპტუალური სასტუმრო, თბილისის ცენტრში, ქალაქის ერთ-ერთ საინტერესო ტურისტულ ნაწილში, მელიქიშვილის 5 ნომერში მდებარეობს. პროექტით გათვალისწინებულია 10-სართულიანი სასტუმროს მშენებლობა, რომელიც აერთიანებს 116 ნომერს სხვადასხვა ტიპის დამსვენებლებისთვის. სასტუმროს 50-505-იანი წილები უჩა მამაცაშვილსა და ვახტანგ კარიჭაშვილს ეკუთვნით.

## რუსეთი უკრაინის დაბომბვას განაგრძობს

ბოლო ინფორმაციის მიხედვით, უკრაინელებმა ჩამოაგდეს რუსული რაკეტების 70% და ირანული დრონების 60%. მიუხედავად ამისა, ცალკეულმა დრონებმა და რაკეტებმა მიზანს მიაღწიეს. რუსები კვლავ უმიზნებენ საცხოვრებელ სახლებს, ენერგოობიექტებს, ხიდებს. მშვიდობიან მოსახლეობაში (მოხუცები, ქალები, ბავშვები) არის მსხვერპლი. უკრაინის 50%-ში არ არის შუქი.

ოკუპანტებმა დაბომბეს სუმის, ჩერნიგოვის, კიევის, ოდესის, ნიკოლაევის ოლქები. დაიბომბა აგრეთვე ლვოვის, ტერნოპოლის, ივანო-ფრანკოვსკის, როვნოს ოლქები. უკრაინელები ვალში არ დარჩნენ. მათ განახორციელეს საპასუხო დარტყმები კურსკის, ბელგოროდის ოლქებზე. დაიბომბა დონეცკი, მაკეევკა, გორლოვკა და ა.შ. მსხვერპლი რუსულ მოსახლეობაშიც და ოკუპანტებს შორისაც საკმაოდაა.

დონბასში უკრაინული არმია განაგრძობს შეტევებს კრემენნოეზე. ცალკეული ცნობით, უკრაინელები უკვე კრემენნოეს გარეუბნებში იმყოფებიან. გრძელდება წინსვლა სვატოვოს მიმართულებითაც.

დაძაბული ვითარებაა ბახმუტთან. აქ ოკუპანტებმა გადაისროლეს კერძო სამხედრო კომპანია ვაგნერის ბოევიკები. ვაგნერელებს შორის დიდი მსხვერპლია, ამიტომ მათი რიგები შეავსეს ციხეებიდან და კოლონიებიდან გათავისუფლებული პატიმრებით.

საინტერესო ვითარებაა ხერსონთან. უკრაინელებმა გაათავისუფლეს ხერსონსჩინის 88 სოფელი და უშუალოდ მიადგნენ ხერსონს. ქალაქში დაიწყო ევაკუაცია. ოკუპანტებმა დანაღმეს კახოვკის ჰესი. იგეგმება კახოვკის ჰესის აფეთქება. ამის შედეგად ხერსონიც და მახლობელი სოფლებიც დაიტბორება. ამით პუტინს ასცდება კრიტიკა ხერსონის დაკარგვის გამო, ქალაქის დაღუპვა კი უკრაინას დაჰბრალდება.

მოამზადა ნიკა თევზაძე

# „უკრაინის გამარჯვება და რუსეთის მარცხი გარდაუვალია“

## „ყირიმის, საქართველოსა და სირიის შემდეგ რუსები დარწმუნებული იყვნენ, რომ დემოკრატიული სამყარო უკრაინაში შეჭრას „ჩაყლაპავდა“

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის წინააღმდეგ ომში უკრაინისა და საქართველოს მომავლისათვის იღუპებიან ქართველი მოხალისეები. იმავდროულად, საქართველოს პოლიტიკუმის ნაწილი უკრაინასა და დასავლეთზე სიტყვიერ შეტევებს აგრძელებს. ბოლოდროინდელი ანტიუკრაინული გამოსვლების საბაბი გახდა ბიძინა ივანიშვილის გარემოცვის წევრების სანქცირება უკრაინის მხრიდან. კომენტატორებმა ანტიუკრაინული პროპაგანდისათვის გამოიყენეს უკრაინის პრეზიდენტის ოფისის მრჩეველ ალექსი არესტოვიჩის განცხადებებიც. არესტოვიჩმა გამოაცხადა, რომ უკრაინელებმა გამარჯვების შემდეგ ქართველები, ასევე მოლდოვა და სომხეთი უნდა გაათავისუფლონ. მისი შეფასებით, საქართველოს ხელისუფლება პრორუსულია. როგორც ჩანს, საქართველოში გარკვეულ ძალებს აწყობთ არესტოვიჩის სუბიექტური და არაკორექტული გამონათქვამების „ფრიალი“ იმისთვის, რომ დაიფაროს მთავარი.

რა ხდება უკრაინის ფრონტზე? რა მიღწევები აქვს უკრაინის არმიას? რატომ ვერ გაიმარჯვებს რუსეთი? რატომ ველარ დააშანტაჟებს პუტინი ევროპას? რისთვის ემზადებიან მოსკოვში? – ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა **აშშ-ის არმიის ყოფილი სარდალი ევროპაში ბენ ჰოჯესი.**

**ბენ ჰოჯესი:**

– კრემლმა რამდენიმე არასწორი გათვლა გააკეთა. მისი მთავარი შეცდომა იყო რწმენა საკუთარი არმიის მიმართ, რომელიც რიცხოვნობითა და ძალით უკრაინისას აღემატება. შეცდომა იყო ასევე დასავლეთის არაფრად ჩაგდება. ყირიმის, საქართველოსა და სირიის შემდეგ რუსები დარწმუნებული იყვნენ, რომ დემოკრატიული სამყარო „ჩაყლაპავდა“ უკრაინაში შეჭრას და წინააღმდეგობას არ გასწევდა. რუსები ასევე შეცდნენ, როცა ფიქრობდნენ, რომ მსხვერპლი, დანაკარგი და სანქციები ამად ღირდა. დაბოლოს, ისინი მიიჩნევდნენ, რომ უკრაინის დაპყრობით ისინი გატეხდნენ ნატოს.



**„რუსეთის პოლიტიკური ელიტა ხელისუფლების მოსალოდნელი ცვლილების შედეგების თავიდან ასაცილებლად უკვე თავს იცავს“**

***– თქვენ ხელი მოაწერეთ წერილს, რომელიც შეიცავდა მოთხოვნას უკრაინისათვის უფრო სერიოზული იარაღის მოწოდების შესახებ. როგორი იარაღი გვჭირდება?***

– ჩვენ დასავლეთში უნდა შევთანხმდეთ, რომ უკრაინამ უნდა გაიმარჯვოს. თეთრ სახლში, ასევე დასავლეთის სამყაროს სხვა მთავრობებში არიან ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ იარაღის სრულად მიწოდება უკრაინისათვის ან რუსეთის ტერიტორიაზე ობიექტებზე სროლების ნებართვა მოიტანს უფრო მეტ ესკალაციას. მე ასე არ ვფიქრობ.

რასაკვირველია, რუსეთს აქვს 1000 ბირთვული რაკეტა ასაფეთქებელი მოწყობილობით. რუსების მუქარებს მე სერიოზულად აღვიქვამ, მაგრამ არ მჯერა, რომ ამას ოდესმე გამოიყენებენ. ამას ძალიან სერიოზული შედეგი მოჰყვება. ვფიქრობ, კრემლსა და გენშტაბში ეს ესმით. ამიტომ, არა მგონია, ომში წაგების ან ყირიმის დაკარგვის შემდეგ მათ ბირთვული დარტყმა განახორციელონ.

თავი უნდა დავანებოთ საკუთარი თავის შეკავებას. რაც უფრო მალე შეძლებს უკრაინა თავისი სუვერენიტეტის დაცვასა და აღდგენას 1991 წლის საზღვრებში, მით მალე დამთავრდება ეს ომი და შეწყდება ადამიანების დაღუპვა. რაც უფრო გავაჭიანურებთ აუცილებელი შეიარაღების გადაცემას უკრაინისათვის, მით უფრო დავშორდებით ამ მიზანს. ეს უპირატესობას აძლევს კრემლს.

***– 10 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციამ უკრაინაზე იერიში განახორციელა. გაშვებულ იქნა 83 რაკეტა და „შაჰედის“ 24 უპილოტო თვითმფრინავი. ნახევარზე ოდნავ მეტი უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს. რა არის საჭირო ამ მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად?***

– უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა კიდევ ერთხელ მოახდინეს იმის დემონსტრირება, თუ რამდენად სწრაფად ახდენენ ადაპტირებას და ზრდიან დრონებისა და რაკეტების ჩამოგდების მაჩვენებელს. მთლიანად ამ პრობლემის ნიველირება მოხდება დრონების გაშვების წერტილების განადგურებით. თუ უკრაინა აღმოაჩენს ასეთ წერტილებს ბელარუსსა და რუსეთში, ჩვენ უნდა მივცეთ მას მათი განადგურების უფლება.

ჩვენ ასევე უნდა შევაჩეროთ ირანიდან ამ დრონების მოწოდება. ეს უფრო რთული ამოცანაა. განიხილება რამდენიმე ზომა ამის წინააღმდეგ. ისინი შეიძლება იყოს ეკონომიკური, დიპლომატიური და სამხედროც კი. რუსეთისა და ირანის ამგვარი თანამშრომლობა შესაძლოა დიდ პრობლემად გადაიქცეს ახლო აღმოსავლეთის მთელი რეგიონისათვის. რუსეთი ამ სარაკეტო დარტყმებს იყენებს იმისთვის, რომ გატეხოს უკრაინელების ნება. ეს არ მოხდება. უკრაინელებმა დაამტკიცეს, რომ მათი ნების გატეხა შეუძლებელია. ზამთრის წინ ენერგოობიექტების დანგრევის მიზანია, გადააქციოს ქალაქები ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ ადგილებად. დარწმუნებული ვარ, უკრაინელები შეძლებენ ადაპტირებას ან მოძებნიან გამოსავალს.

მაკვირვებს, რომ რუსეთის ოპერაციის სრული ჩავარდნის მიუხედავად, მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც ვერ იღებენ იმას, რომ რუსეთი დამარცხდება. მათ თავებში ასეთი აზრია – რუსეთი ვერ წააგებს, პუტინი კი ჩადენილისთვის სასჯელს არ იმსახურებს. ამ ადამიანებს შეხვედრისას ვუხსნი, რომ უკრაინა უეჭველად გაიმარჯვებს, რუსეთი კი დამარცხდება.

ეს ბოლო ზამთარია, როცა რუსეთს ენერგორესურსებით ევროკავშირის შანტაჟის საშუალება ექნება. ევროპელები და უკრაინელები ეძებენ ალტერნატივას. მომავალ წელს ისინი რუსეთის გაზზე დამოკიდებული არ იქნებიან.

რუსეთის პოლიტელიტის ზოგიერთი წარმომადგენელი ხედავს, რომ ისტორიის ბორბალი მის მხარეს აღარ ტრიალებს. ამ ადამიანებმა უკვე დაიწყეს კერძო არმიების ორგანიზება, რათა დაიცვან თავი ხელისუფლების ცვლილების შემდგომი შედეგებისაგან.

ჩემი აზრით, ეს რამდენიმე თვის განმავლობაში უნდა მოხდეს.

# ეკონომიკა

## სამეზობლოში ყველაზე დაბალი ინფლაცია სომხეთშია



მიმდინარე წლის სექტემბერში საქართველოში ფასების დონის ზრდის ტემპი გაიზარდა და კვლავ მაღალ დონეზეა. საქსტატის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2022 წლის სექტემბერში წლიური ინფლაციის დონემ ქვეყანაში 11.5% შეადგინა, მაშინ როცა აგვისტოში ეს მაჩვენებელი 10.9%-ზე იყო.

ამასთან, ქვეყანაში 11.5%-იანი ინფლაციის მიუხედავად მოცემულ ერთწლიან პერიოდში ფასები ყველაზე მნიშვნელოვან სასაქონლე ჯგუფზე გაცილებით მეტად გაიზარდა:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები – ზრდა 17.6%; სასტუმროები, კაფეები და რესტორნები – ზრდა 15.7%; ტრანსპორტი – ზრდა 14.1%; საცხოვრებელი – წყალი, ელ.ენერგია, აირი – ზრდა 12.2%; დასვენება, განათლება და კულტურა – ზრდა 10.4%.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, 2022 წლის სექტემბერში თურქეთში ინფლაციის წლიურმა დონემ 83,5% შეადგინა, ხოლო იმ ჯგუფების ჩამონათვალი, სადაც ფასები ყველაზე სწრაფი ტემპით გაიზარდა, ასე გამოიყურება:

ტრანსპორტი – ზრდა 117.7%; სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფი – ზრდა 93%; ავეჯი და საოჯახო ნივთები – ზრდა 90%; ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო – ზრდა 83%; სასტუმროები და რესტორნები – 81.3%

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამეზობლოში ფასები ყველაზე სწრაფად სწორედ თურქეთში იზრდება.

აზერბაიჯანში ფასების საერთო დონის ზრდის ტემპი, საქართველოს მსგავსად, მატების ტენდენციით ხასიათდება, რასაც ცხადყოფს სექტემბრის სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა ქვეყანაში 15.6% შეადგინა.

გარდა ამისა, ფასები ზრდის ტემპი კვლავ მაღალია რუსეთშიც, სადაც წლიური ინფლაციის დონემ სექტემბერში 13.7% შეადგინა.

რაც შეეხება სომხეთს, ქვეყანაში ერთი წლის განმავლობაში ფასების საერთო დონე 9.9%-ით გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონში ყველაზე დაბალი ინფლაცია სწორედ სომხეთშია, ხოლო საქართველო ფასების ზრდის მაღალი ტემპით სომხეთის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს.

## უძრავი ქონება, რომლებიც ადრე მედიუმკლასის ბინებად იყიდებოდა, ახლა პრემიუმკლასის ბინებად იყიდება

თბილისში სექტემბერში ახალაშენებულ მედიუმსეგმენტის ბინებზე მოთხოვნა გაორმაგდა, პრემიუმსეგმენტში მაჩვენებელი კი 167%-ით გაიზარდა. რაც შეეხება მიმდინარე 9 თვის მონაცემებს, იანვარ-სექტემბერში თბილისში ახალაშენებულ მედიუმსეგმენტის ბინებზე მოთხოვნა გაორმაგდა, პრემიუმსეგმენტში კი მაჩვენებელი 137%-ით გაიზარდა. ამის შესახებ Colliers Georgia-ს უძრავი ქონების ბაზრის კვლევაში წერია.

კომპანიის დირექტორი ეთუნა მუნჯიშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ იმ მიზეზებს ასახელებს, რომლებმაც პრემიუმსეგმენტზე ზრდის მაღალი ტემპი გამოიწვია.

– ბოლო წლებში თბილისში უძრავი ქონების ბაზარზე იყო ეკონომსეგმენტის ზრდა. განსაკუთრებით პანდემიის დროს იყო ყველაზე დომინანტი, თუმცა 2021 წლიდან დაიწყო ტენდენცია, როცა მედიუმ და პრემიუმ კლასის ბინებზე გაიზარდა მოთხოვნა. განსაკუთრებით, მიმდინარე წელს პრემიუმკლასის საცხოვრებელ სახლებზე გაჩნდა განსაკუთრებული მოთხოვნა. დაახლოებით, წარმოდგენა რომ გვქონდეს, პირველი 9 თვის მონაცემით, პრემიუმკლასის ბინებში 1.600 ტრანზაქცია განხორციელდა, რაც 140%-მდე ზრდას ნიშნავს. ეს მასშტაბი გასულ წლებში არ დაფიქსირებულა.



აღნიშნული განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. პირველია ის, რომ შემოსული არარეზიდენტების წილი ნამდვილად არის ტრანზაქციებში, რამაც მოთხოვნა გაზარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოთხოვნამ ფასების ზრდაზე იქონია გავლენა – უძრავ ქონებაზე, რომლებიც ადრე მედიუმკლასის ბინებად იყიდებოდა, ისე გაიზარდა ფასი, რომ პრემიუმკლასის ბინებად იყიდება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადრე გაყიდვების სტრუქტურაში პრემიუმკლასის ბინებს 2-3% ეკავა, ახლა კი უკვე 5%-ს აღემატება, რაც ასევე კარგად ასახავს არსებულ რეალობას, – განაცხადა ეთუნა მუნჯიშვილმა.

მისივე თქმით, თბილისის შემდეგ ყველაზე მეტად მოთხოვნა და ტრანზაქციები ბათუმში, გუდაურსა და ბაკურიანში გაიზარდა.

## პოლონეთში ავტობუსისა და სატვირთო მანქანის შეჯახების შედეგად, სავარაუდოდ, საქართველოს 3 მოქალაქე გარდაიცვალა

პოლონეთში, ქალაქ პოზნანის მახლობლად მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, სავარაუდოდ, საქართველოს მოქალაქეები დაიღუპნენ. ინფორმაციას პოლონური მედია ავრცელებს.

მათივე ცნობით, ერთმანეთს ავტობუსი და სატვირთო მანქანა შეეჯახა. ავტობუსში სულ 8 მგზავრი იმყოფებოდა. აქედან სამი გარდაიცვალა, ხუთი კი დაშავდა. პოლონური მედია სახანძრო-სამაშველო სამსახურის წარმომადგენელზე დაყრდნობით იუწყება, რომ გარდაცვლილები, სავარაუდოდ, საქართველოს მოქალაქეები არიან.

## საქართველოში ზეთის იმპორტი ისტორიულ მაქსიმუმზეა

რუსეთის მსხვილმასშტაბიანი ანექსიისა და თავდასხმების შედეგად უკრაინიდან ზეთისა და არა მარტო ამ პროდუქტის ექსპორტის შემცირების ფონზე, ყაზახეთი მზესუმზირის ზეთის ექსპორტს ზრდის.



მიუხედავად ამისა, საქართველო ყაზახეთისგან მხოლოდ მცირე ოდენობით ზეთს ყიდულობს. საინტერესოა, საიდან შემოდის ქვეყანაში პროდუქტი და რამდენს ვიხდით მასში წლიურად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, მიმდინარე წლის 9 თვეში საქართველოში რეკორდული ღირებულების, 89.6 მილიონი აშშ დოლარის ცხიმები და ზეთები შემოვიდა. იმპორტი 2021 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან, 64.3 მლნ დოლართან შედარებით 39.4%-ითაა გაზრდილი.

საქართველოში ზეთის უმსხვილესი შემომტანი წელს რუსეთია, საიდანაც იმპორტი ისტორიულ მაქსიმუმზეა და 55.5 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 37.9 მლნ-ზე, 46.4%-ით მეტია.

10 ქვეყნის ჩამონათვალი, საიდანაც საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობით შემოდის ცხიმები და ზეთები, შემდეგნაირია:

რუსეთი – 55.5 მლნ დოლარი; თურქეთი – 7.7 მლნ დოლარი; აზერბაიჯანი – 7.7 მლნ დოლარი; უკრაინა – 4.6 მლნ დოლარი; მალაიზია – 3.8 მლნ დოლარი; პოლონეთი – 1.95 მლნ დოლარი; ინდონეზია – 1.7 მლნ დოლარი; იტალია – 1.6 მლნ დოლარი; შვედეთი – 823.7 ათასი დოლარი; სომხეთი – 662.9 ათასი დოლარი.

## „ფეხს ერთსა და იმავე ფოცხზე ვადგამთ“



ბოლო რამდენიმე წელია, სახელმწიფო საწარმოები ფინანსურ წელს წაგებით ასრულებენ. გამონაკლისია 2021 წელი, თუმცა, აუდიტის სამსახურის ანგარიშით ირკვევა, რომ სახელმწიფო საწარმოების მოგება მთლიანად განპირობებული იყო ლარის გამყარებით.

გადაცემაში „საქმე“ ფინანსისტი გიგა ბედინეიშვილი აცხადებს, რომ მთავრობას, უბრალოდ, არ აწყობს ობიექტების განკერძოება, რომელშიც გადასახადის გადამხდელების ფულს ხარჯავს.

– ორი მიზეზია, რატომ ვერ გადაიდგა ნაბიჯი სახელმწიფო საწარმოების მიდგომის გასაჯანსაღებლად. ერთია მთავრობის მოტივაცია. მთავრობას არ აწყობს ამ კომპანიების პრივატიზაცია და მათი კონტროლიდან გასვლა. მეორეა, ასევე, განათლებისა და ცოდნის ნაკლებობა ჩვენში, ამომრჩეველში.

პრივატიზაცია, როგორც წესი, არც ისე პოპულარული თემაა და ძალიან ბევრი ადამიანი, მათ შორის, გულწრფელობითაც ეწინააღმდეგება ამ პროცესს და არას დაგიდევენ განვითარებული ეკონომიკების გამოცდილებას. სწორედ იქ, სადაც ხალხი ყველაზე მდიდარია, ძალიან მცირე მოცულობით რესურსია დარჩენილი სახელმწიფოს ხელში. ალბათ, თითო– ოროლა მაგალითია, როცა სახელმწიფო ფლობს სარკინიგზო კომპანიებს. სხვა რესურსებზე კი საუბარიც არ არის.

ჩვენ კიდევ საბჭოთა კავშირიდან ბოლომდე ვერ გამოვდივართ მაგ თვალსაზრისით. შედეგი ისაა, რომ ჩვენი, გადასახადის გადამხდელების ფული მიდის არამომგებიანი და დაბალი მომგებიანობის საწარმოების დასაფინანსებლად. ერთსა და იმავე ფოცხზე ვადგამთ ფეხს, – განაცხადა ბედინეიშვილმა „საქმეში“.